ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 8
22/02/2019

8-04-4-201902221709

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, ,,ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, ნასყიდობის, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №19 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძე) პირდაპირი განკარგვის წესით, 5 (ხუთი) წლის ვადით, თხოვების ფორმით, შპს ქედის კომუნალურსერვისს გადასცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონება:

ა) ექსკავატორდამტვირთველი (მრავალფუნქციური ტრაქტორი) საჭირო კომპლექტით, საბალანსო ღირებულება - 147260 (ას ორმოცდა შვიდი ათას ორას სამოცი) ლარი, რეგისტრაციის ნომერი - BS095S, გამოშვებული - 2016 წელს.

ბ) თვითმცლელი ნაგავმზიდი, საბალანსო ღირებულება - 189999 (ას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაას ოთხოოცდაცხრამეტი) ლარი, სარეგისტრაციო ნომერი - UU797PP, გამოშვებული - 2016 წელს.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე